

Erasmus + mobility for teaching/training in

Silesian Technological University

სილეზიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტსა (SUT) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვთ. მას შემდეგ, რაც გასულ წელს ერასმუსის პროგრამის ფარგლებში ვიყავი სილეზიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ბიოსამედიცინო ინჟინერიის ფაკულტეტთან ურთიერთთანამშრომლობის გადრმავების მიზნით გადავწყვიტე კვლავ მიმელო მონაწილეობა 2023 წლის Erasmus + მობილობის კონკურსში.

მობილობის პერიოდი მოიცავდა 12-16 ივნისს რა დროსაც მონაწილეობა მივიღე SUT-ში დაგეგმილ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვირეულში.

ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი მოლოდინი იყო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, სტუდენტებისა და მასწავლებლების გაცნობა, ასევე - სასწავლო პროგრამების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება პროფესიონალებისგან. SUT-ში მიწვეული ვიყავი 2023 წლის საერთაშორისო პერსონალის კვირეულზე, რამაც შესაძლებლობა მომცა კომუნიკაცია მქონოდა 10-ზე მეტი ქვეყნის აკადემიურ წარმომადგენელთან.

საერთაშორისო კვირეული ჩატარდა პოლონეთის ქალაქ გლივიცეში 12-16 ივლისს. კვირეული ძალიან კარგად იყო ორგანიზებული SUT-ის მიერ, როგორც აკადემიური ისე კულტურული კუთხით. გავეცანი ფაკულტეტის ლაბორატორიებს Centre of New Technologies, Scientific and Didactic Laboratory of Nanotechnology and Material Technologies – Gliwice, European HealthTech Innovation Center Laboratories – Zabrze. ასევე, ეს დღე გამორჩეული იყო იმით, რომ საშუალება მომეცა შევხვედროდი ბიოსამედიცინო ინჟინერიის ფაკულტეტის წარმომადგენლებს, გაგვეზიარებინა გამოცდილება, საკონტაქტო ინფორმაცია და გვემსჯელა სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

საერთაშორისო კვირეულის ძირითადი თემა იყო მდგრადი განვითარების როლი საგანმანათლებლო სისტემაში, როგორც კულტურათაშორის ღირებულებების გაზიარების ინსტრუმენტი. ტრენინგის ფარგლებში გავეცანი პოლონეთის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებს ევროპისა და აზიის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

ბოლო რამდენიმე დღე დაეთმო ჰანელურ დისკუსიებს SUT-ის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან, ასევე - კვირეულის მონაწილეებთან, რათა ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა ერასმუსის მობილობისას მიღებული გამოცდილება. ბოლო დღეს, კვირეულის დასასრულს, ჩატარდა შემაჯამებელი დისკუსია სამომავლო თანამშრომლობის შესახებ. კვირეულის ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატები.

რომ შევაჯამოთ, SUT-ში ვიზიტი როგორც აკადემიური, ისე კულტურული თვალსაზრისით, საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. გამოცდილება რომელიც ამ შეხვედრებისას მივიღე, ნამდვილად ღრებულია და იმედი მაქვს, გამოვიყენებ ჩემი სწავლების უნარებისა და სასწავლო კურსების გასაუმჯობესებლად.



